პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 17 აგვისტო, 1949 წ. № 163 (8466). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მომზადებული შევხვდეთ რთველს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნები აღმავლობის გზაზე „პრავდის“ 16-VIII მოწინავე (მე-2 გვერდი).
პურის დამზადებას ბოლშევიკური ტემპი (მე-3 გვერდი).
ვ. გელაშვილი, ს. ყურაშვილი — ლენინგორი (მე-3 გვერდი).
რა იწვევს გორის ბამბეულის საფეიქრო კომბინატის ბრიგადის ჩამორჩენას? (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მომზადებული შევხვდეთ რთველს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებით ჩვენი რესპუბლიკის ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატთა დიდ ჯგუფს სოციალისტური შოთის გმირის საპატიო წოდება ძიენიჭა. გამრავლდა სოფლის წარჩინებულ ადამიანთა რიგები. ახლა სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოს 570 სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს. ათასობით კოლმეურნე დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით.

მხოლოდ ჩვენში, მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში ადამიანის შრომა გადაქცეულია ღირსების, დიდებისა და გმირობის საქმედ. სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი სოფლის მშრომელის მკერდზე—ეს არის ახლოლოდ სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენა. დიდი სტალინი ამბობს, რომ ჩვენში „მშრომელი ადამიანი პატივისცემითაა გარემოსილი. აქ იგი მუშაობს არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავისათვის, თავისი კლასისათვის, საზოგადოებისათვის. აქ მშრომელი ადამიანი თავს მივიწყებულად და ეულად ვერ იგრძნობს. პირიქით, მშრომელი ადამიანი ჩვენში თავს გრძნობს თავისი ქვეყნის თავისუფალ ძოქალაქედ, თავისებურ საზოგადოებრივ მოღვაწედ. და თუ იგი კარგად მუშაობს და საზოგადოებას აძლევს იმას, რისი მიცემაც შეუძლია,—ის შრომის გმირია, იგი დიდებითაა შემოსილი“.

მთელ რესპუბლიკაში ცნობილია გურჯაანელი მერგოლური ივანე ყვირილაშვილი, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103,3 ცენტნერი ყურძენი, მაიაკოვსკელი მერგოლური ვალერიან ბახტიძე, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 148,3 ცენტნერი ყურძენი, ზესტაფონელი ბრიგადირი გიორგი კვანტრიშვილი, რომელმაც 10 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 75,6 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ორჯონიკიძელი მერგოლური ივანე კვინიკაძე, რომელმაც ჰექტარზე საშუალოდ 97,2 ცენტნერი შამპანური ჯიშის ყურძენი მოიწია, ცაგერელი მერგოლური ალექსანდრე მუშკუდიანი, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 116,7 ცენტნერი ყურძენი მიიღო, და მრავალი სხვა. ახლა მათი სასახელო საქმეები ცნობილი გახდა მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

საბჭოთა მევენახეები და სოფლის ყველა მშრომელი ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 9 აგვისტოს ბრძანებულებას და მას ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხეს. მევენახეები გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ და წარმატებით მუშაობენ, რომ წელსაც ისახელონ თავი ყურძნის მოსავლიანობის გადიდებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ პასუხსაგები ამოცანები დაგვისახა მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის. წინ ბევრი სამუშაოა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გამოქვეყნდა იმ პერიოდში, როცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რთველისათვის ემზადებიან. წელს ჩვენი მევენახეები ყურძნის უხვ მოსავალს მოელიან. ეს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების დაძაბული შრომის, მიჩურინული აგროტექნიკის მტკიცედ დანერგვის შედეგია. გურჯაანის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობანი საუკეთესოდ ემზადებიან რთველისათვის. ყურძნის კრეფისა და გადამუშავებისათვის კარგად ემზადებიან წისქვილისა და ხირსის საბჭოთა მეურნეობები.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ ზოგან რთველისათვის მზადებას აჭიანურებენ. მაგალითად, ნაფარეულის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში ყურძნის გადასამუშავებელი მოწყობილობის რემონტი ჯერ არ დაუმთავრებიათ. მევენახეობა-მეღვინეობის მუშაკებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ტარის საკითხს. სამწუხაროდ, ყველგან როდი აფასებენ ტარის დიდ მნიშვნელობას რთველის უნაკლოდ ჩატარების საქმეში. ამით აიხსნება, რომ გურჯაანის ღვინის ქარხნის, ვარციხის საბჭოთა მეურნეობის, ყვარლის ქარხნის სამართველოს მუშაკები შეუწყნარებლად აჭიანურებენ კასრების დამზადებას. ეს საკითხი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს მევენახეობა - მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის წინაშე. ტრესტის მუშაკთა გადაუდებელი საქმეა უახლოეს დღეებში სრულ წესრიგზე მოიყვანონ ყურძნის მიმღები პუნქტები. დამამზადებელი აპარატის მოქნილი მუშაობა ყურძნის კრეფა-დამზადების გეგმის წარმატებით შესრულების მნიშვნელოვანი პირობაა.

ჯერ კიდევ არის დრო გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საუკეთესოდ მომზადებით უზრუნველყოთ ყურძნის მოსავლის უდანაკარგოდ აღება და გადამუშავება.

კვების მრეწველობის მუშაკები მოვალენი არიან ტექნოლოგიური რეჟიმის გაუმჯობესების გზით გაადიდონ ყურძნის გამოსავლიანობა. ჩვენს ღვინის მრეწველობას საამისოდ საკმაო კადრები ჰყავს. ამ მუშაკების სწორად განაწილება და გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

სოციალისტური შრომის გმირები, ორდენოსნები გვიჩვენებენ ყურძნის უხვი მოსავლის მიღების კონკრეტულ გზებს. სოციალისტურ შეჯიბრებაში ასახულია მოწინავეთა მიღწევები. გურჯაანელმა მევენახეებმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს მევენახეობის რაიონების შრომელებს ძოწოდებით მიმართეს — ფართოდ გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად. მრავალი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ბრიგადირი, მერგოლური და კოლმეურნე ჩაება ამ შეჯიბრებაში და კონკრეტული ვალდებულებანი იკისრა. პირობის განაღდების დრო დადგა. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა სისტემატურად შეამოწმონ შეჯიბრების მიმდინარეობა, დაეხმარონ ჩამორჩენილებს მოწინავეთა მუშაობის მეთოდების დაუფლებაში.

სოფლად არსებული შრომითი აღმავლობა იმის საწინდარია, რომ ჩვენი მევენახეები სწრაფად გამოასწორებენ ნაკლოვანებებს, იმუშავებენ ისე, როგორც მუშაობენ სოციალისტური შრომის გმირები, ორდენოსნები, უდანაკარგოდ აიღებენ და მაღალხარისხოვნად გადაამუშავებენ ახალი მოსავლის ყურძენს.

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 აგვისტოსათვის სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა 109 პროცენტით შეასრულეს სამინდე გამოსაღების გარდა.

მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი

გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 14 აგვისტოსათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის მდივანი ამხ. ჯანჯღავა და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აბაკელია იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 212 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 აგვისტოსათვის 136 პროცენტით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი ამხ. რუხაძე და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მაღლაფერიძე იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 212 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად **ყურძნის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

51. **დუგლაძე** მანანა ივანეს ასული — გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 81,8 ცენტნერი ყურძენი.

52. **ენდელაძე** ალექსანდრე ივანეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 13 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75 ცენტნერი ყურძენი.

53. **კალანდაძე** ვალერიან გიორგის-ძე — ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83,7 ცენტნერი ყურძენი.

54. **ყანჩაველი** დავით გრიგოლის-ძე —ზესტაფონის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60 ცენტნერი ყურძენი.

55. **ყანჩაველი** სიმონ სოფრომის-ძე — ზესტაფონის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 20,2 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60 ცენტნერი ყურძენი.

56. **კაპანაძე** არჩილ ანტონის-ძე — ზესტაფონის რაიონის ქვედა საქარის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 85,9 ცენტნერი ყურძენი.

57. **კარდენახიშვილი** სოლომონ ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლური, რომელმაც 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80,1 ცენტნერი ყურძენი.

58. **კარდენახიშვილი** სოლომონ იოსების-ძე—გურჯაანის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83,2 ცენტნერი ყურძენი.

59. **ქარსელაძე** ერმალოზ მათეს-ძე —ცაგერის რაიონის კოლმეურნეობის „ლენინის გზით“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 85 ცენტნერი ყურძენი.

60. **ყაჟიაშვილი** ალექსანდრე დავითის-ძე—გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,3 ცენტნერი ყურძენი.

61. **ქვათაძე** დიანოს ბიჭიას-ძე—ონის რაიონის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 82,1 ცენტნერი ყურძენი.

62. **კვიტაშვილი** კონსტანტინე იაკობის-ძე—ზესტაფონის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 72,3 ცენტნერი ყურძენი.

63. **მკერვალიშვილი** ენგიზოზ არეთის-ძე—ონის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 90 ცენტნერი ყურძენი.

64. **ქლიბაძე** ონისიმე პორფილეს-ძე —ზესტაფონის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 58 ცენტნერი ყურძენი.

65. **კობახიძე** ნიკოლოზ ამბერკის-ძე —პარტიის ზესტაფონის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

66. **კოვზირიძე** ელენე იოსების ასული—ზესტაფონის რაიონის ზედასაქარის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 89,3 ცენტნერი ყურძენი.

67. **კოტაშვილი** გაბრიელ ალექსის-ძე —წითელწყაროს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,9 ცენტნერი ყურძენი.

68. **კუპატაძე** შალვა ლევანის-ძე—თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ მერგოლური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78 ცენტნერი ყურძენი.

69. **ლაჭუეტიანი** გრიგოლ ნესტორის-ძე— ცაგერის რაიონის ტვიშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წინსვლის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 96 ცენტნერი ყურძენი.

70. **ლელაძე** პავლე დომენტის-ძე— ზესტაფონის რაიონის ქვედასაქარის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 85,5 ცენტნერი ყურძენი.

71. **ლომიძე** გრიგოლ ეფრემის-ძე— ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 63,5 ცენტნერი ყურძენი.

72. **მაისურაძე** სიმონ მიხეილის-ძე— ორჯონიკიძის რაიონის ვორონოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60 ცენტნერი ყურძენი.

73. **მაისურაძე** თამარ სიმონის ასული — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,6 ცენტნერი ყურძენი.

74. **მამათელაშვილი** დავით გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,2 ცენტნერი ყურძენი.

75. **მანჯავიძე** აბესალომ ესპიტის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 56,4 ცენტნერი ყურძენი.

76. **მატუნაია** გიგა გიგოს-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79,5 ცენტნერი ყურძენი.

77. **მახარაშვილი** დიმიტრი ნიკოლოზის-ძე — პარტიის გურჯაანის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 19 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

78. **მაჩიტაძე** ვასილ გიგოს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ობჩის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,5 ცენტნერი ყურძენი.

79. **მაჩიტაძე** შოთა სერგის-ძე — ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 94,7 ცენტნერი ყურძენი.

80. **მღებრიშვილი** ალექსანდრე არტემის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,9 ცენტნერი ყურძენი.

81. **მდივანი** თევდორე უფლისას-ძე — ცაგერის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 81 ცენტნერი ყურძენი.

82. **მირველაშვილი** სერგი მიხეილის-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 87 ცენტნერი ყურძენი.

83. **მეფარიშვილი** აკაკი მელიტონის-ძე — ვანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83,2 ცენტნერი ყურძენი.

84. **მეფარიშვილი** ისაკი მოსეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 86,9 ცენტნერი ყურძენი.

85. **მესხი** გიორგი ზაქარიას-ძე — გურჯაანის რაიონის შაშიანის სასოფლო საბჭოს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75 ცენტნერი ყურძენი.

86. **მეშველიანი** ვარლამ ვასილის-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,6 ცენტნერი ყურძენი.

87. **მოსესოვა** თამარ მიხეილის ასული — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,5 ცენტნერი ყურძენი.

88. **მუშკუდიანი** სევერიან კონსტანტინეს-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ ბრიგადირი, რომელმაც 10,9 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 86,2 ცენტნერი ყურძენი.

89. **ნამიჩეიშვილი** გერონტი ილარიონის-ძე — პარტიის ვანის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მოიაზილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 23,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

90. **ნათმელაძე** კონსტანტინე სპირიდონის-ძე — ამბროლაურის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77 ცენტნერი ყურძენი.

91. **ნიქაბაძე** მიხეილ სამსონის-ძე — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 86 ცენტნერი ყურძენი.

92. **ნინიკაშვილი** სერგი თომას-ძე — ზესტაფონის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 57,8 ცენტნერი ყურძენი.

93. **ოქროპილაშვილი** ანდრია ასლანის-ძე — ვანის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,7 ცენტნერი ყურძენი.

94. **ორაგველიძე** გრიგოლ სერაპიონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 90 ცენტნერი ყურძენი.

95. **ოსოშვილი** ვლადიმერ ზაქარიას-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 20 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76 ცენტნერი ყურძენი.

96. **ფანქველაშვილი** ეკატერინე ერმანოზის ასული — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების გზის“ მერგოლური, რომელმაც 3,3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 65,7 ცენტნერი ყურძენი.

97. **პაპუნაშვილი** თამარ სოლომონის ასული — გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79 ცენტნერი ყურძენი.

98. **პარწიკანაშვილი** სამად ნასყიდის-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავეს“ მერგოლური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83 ცენტნერი ყურძენი.

99. **ფერაძე** იოსებ ავქსენტის-ძე — ზესტაფონის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,2 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 74,8 ცენტნერი ყურძენი.

100. **ფერაძე** სანდრო ამბაკოს-ძე — ზესტაფონის რაიონის პირველი მაისის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 62,1 ცენტნერი ყურძენი.

101. **ფრუიძე** მელტონ გარსევანის-ძე—ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

* გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 162.

სოციალისტური შრომის გმირები

მ. ა. სიოკრდია

საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიონული კომიტეტის მდივანი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ჯ. ხ. მუთიძე

ბათუმის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 18,7 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.



მ. ხ. ჯელიძე

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 23,2 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

მ. დ. შაინიძე

ხულოს რაიონის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ)

„გლეხის“ წინსვლის“ მერგოლური, **რომელმაც** 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,1 ცენტნერი ყურძენი.

102. **რობაქიძე** ალექსანდრე ანტონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79,5 ცენტნერი ყურძენი.

103. **რობაქიძე** ალექსანდრე ივანეს-ძე — პარტიის მაიაკოვსკის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 30,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

104. **რუსნიაკოვი** ბოგდან ალექსანდრეს-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79,2 ცენტნერი ყურძენი.

105. **სადღობელაშვილი** მიხეილ დომენტის-ძე — საჩხერის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 92 ცენტნერი ყურძენი.

106. **სვანიძე** ალფაზ ოქროპირის-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მერგოლური, რომელმაც 5,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 84 ცენტნერი ყურძენი.

107. **სეფიაშვილი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ ბრიგადირი, რომელმაც 10,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 86,7 ცენტნერი ყურძენი.

108. **სეხნიაშვილი** ანეტა მიხეილის ასული — წითელწყაროს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79 ცენტნერი ყურძენი.

109. **სიხარულიძე** ილია ალის-ძე — ჩოხატაურის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 100,7 ცენტნერი ყურძენი.

110. **ტატულაშვილი** ზაქარია ნასყიდას-ძე — გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80,6 ცენტნერი ყურძენი

111. **ტატუნაშვილი** გიორგი მათეს-ძე — ლენინგორის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83,6 ცენტნერი ყურძენი.

112. **ტატუნაშვილი** მიხეილ ნიკოლოზის-ძე—ლენინგორის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 89,9 ცენტნერი ყურძენი.

113. **ტყემალაძე** პარმენ იროდიონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 94,4 ცენტნერი ყურძენი.

117. **ხიდაშელი** ლევან გენტორის-ძე — ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 91 ცენტნერი ყურძენი.

118. **ხმალაძე** დავით ზაქარიას-ძე — მაიაკოვსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,2 ცენტნერი ყურძენი.

119. **ხრიკული** ვასილ ნიკოლოზის-ძე — ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,6 ცენტნერი ყურძენი.

120. **ხუციძე** მოსე ფილიპეს-ძე — ვანის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 12 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 82,9 ცენტნერი ყურძენი.

121. **ხუტუნაშვილი** ალექსანდრე პავლეს-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,1 ცენტნერი ყურძენი.

122. **წაქაძე** ბორის დორვეტის-ძე — ზესტაფონის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 90,7 ცენტნერი ყურძენი.

123. **წაქაძე** პეტრე დავითის-ძე — ზესტაფონის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 50,4 ცენტნერი ყურძენი.

124. **წაქაძე** უშანგი ამბროსის-ძე — ზესტაფონის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 58 ცენტნერი ყურძენი.

125. **წერეთელი** პროკოფი რაჟდენის-ძე—ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „სინათლის“ მერგოლური, რომელმაც 5,4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 90 ცენტნერი ყურძენი.

126. **ცერცვაძე** ონისიმე კონსტანტინეს-ძე — ზესტაფონის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 58,3 ცენტნერი ყურძენი.

127. **წიკორაძე** არქიპო ლავრენტის-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,2 ცენტნერი ყურძენი.

128. **წიტაძე** სიმონ ვასილის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის დიმის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,5 ცენტნერი ყურძენი.

129. **ჭულუხაძე** ელენე იულონის ასული — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 97,9 ცენტნერი ყურძენი.

130. **ჩხეტია** მიხეილ აბესალომის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის დიმის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,8 ცენტნერი ყურძენი.

131. **შანკულაშვილი** ნიკოლოზ გლახოს-ძე — გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 84,3 ცენტნერი ყურძენი.

132. **შერგილაშვილი** ჟენია გიორგის ასული — ზესტაფონის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 67,1 ცენტნერი ყურძენი.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲦᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

1. **აბესაძე** დავით ლაზარეს-ძე — კაჭრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 61 ცენტნერი ყურძენი.

2. **აბესაძე** სევერიან ასლანის-ძე — ზესტაფონის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 11,3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 50,4 ცენტნერი ყურძენი.

3. **აბეიშვილი** მეთოდე ივანეს-ძე — პარტიის ვანის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 23,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

4. **ავალიანი** აპოლონ ფარნაოზის-ძე — ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „სინათლის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 85,7 ცენტნერი ყურძენი.

5. **აკოფოვი** ქრისტო ნასყიდას-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებული 102,4 ცენტნერი ყურძენი.

6. **ალავერდაშვილი** მოსე ალექსანდრეს-ძე—წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 5,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 100,5 ცენტნერი ყურძენი.

7. **ალავერდოვა** ლუსია აზარის ასული — თეთრი წყაროს რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 64 ცენტნერი ყურძენი.

8. **ალთუნაშვილი** ივანე დიმიტრის-ძე — გურჯაანის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 63,3 ცენტნერი ყურძენი.

9. **ანთაძე** ვასილ თეიმურაზის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობის „ლენინის ხაზით“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 52,6 ცენტნერი ყურძენი.

10. **არაბიძე** ალექსანდრე ბაგრატის-ძე — ზესტაფონის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 58,5 ცენტნერი ყურძენი.

11. **არაქელოვი** ნიკოლოზ საქულას-ძე — გურჯაანის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 65,1 ცენტნერი ყურძენი.

12. **ბაჯაძე** ნადია კონსტანტინეს ასული — ვანის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის მონაპოვრის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 106,6 ცენტნერი ყურძენი.

13. **ბაზიორი** აპოლონ ამბერკის-ძე — ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 23,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

14. **ბალუაშვილი** ზაქარია მიხეილის-ძე—გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 62,4 ცენტნერი ყურძენი.

15. **ბანძალაძე** კოსტა გიორგის-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 114,7 ცენტნერი ყურძენი.

16. **ბანცაძე** სერგი ტრიფონის-ძე — ზესტაფონის რაიონის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 47,1 ცენტნერი ყურძენი.

17. **ბარათელი** მიხეილ დავითის-ძე—ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 63 ცენტნერი ყურძენი.

18. **ბარსონიძე** ბესარიონ თადეოსის-ძე — ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „სინათლის“ ბრიგადირი, რომელმაც 16,9 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 64,3 ცენტნერი ყურძენი.

19. **ბასილაშვილი** ილია ნიკოლოზის-ძე — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 85,9 ცენტნერი ყურძენი.

20. **ბაციკაძე** ალექსანდრე ალექსის-ძე — სტალინირის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 62,6 ცენტნერი ყურძენი.

21. **ბეჟანიშვილი** მარიამ ალექსანდრეს ასული — კაჭრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 61 ცენტნერი ყურძენი.

22. **ბენაშვილი** გიორგი ვასილის-ძე—წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ აგრონომი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 102,1 ცენტნერი ყურძენი.

23. **ბენდიანიშვილი** გალინა ამირანის ასული—ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „სინათლის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 73,6 ცენტნერი ყურძენი.

24. **ბერიაშვილი** გიორგი ალექსის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3.1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 105,2 ცენტნერი ყურძენი.

25. **ბერიაშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 87 ცენტნერი ყურძენი.

26. **ბერიძე** ადამ ოსმანის-ძე — ქედის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 63 ცენტნერი ყურძენი.

27. **ბერიძე** უზეირ ღურსუნის-ძე — ქედის რაიონის აჭარის ასს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60,1 ცენტნერი ყურძენი.

28. **ბერულაშვილი** გიორგი პავლეს-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გუთნის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 111,1 ცენტნერი ყურძენი.

29. **ბიბილაშვილი** მელქო ალფეზის-ძე — პარტიის ამბროლაურის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

30. **ბლუიშვილი** ივანე ჯონოს-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 103 ცენტნერი ყურძენი.

31. **ბოჭოიძე** მელქისედეკ დიმიტრის-ძე — ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების უბნის აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

32. **ბოჭოიძე** რაჟდენ დიმიტრის-ძე—ზესტაფონის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 58 ცენტნერი ყურძენი.

33. **ბრეგვაძე** გრიგოლ მოსეს-ძე — ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 69,1 ცენტნერი ყურძენი.

34. **ბრეგვაძე** სამსონ ნიკოს-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობის „კომუნიზმისაკენ“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 116,7 ცენტნერი ყურძენი.

35. **ბურჯანაძე** ვლადიმერ სოგრატის-ძე — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 86 ცენტნერი ყურძენი.

36. **ვაჩაძე** ვლადიმერ არქიპოს-ძე — ამბროლაურის რაიონის ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 64,3 ცენტნერი ყურძენი.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი ყურადღებითა და ძმური სიმპათიით ადევნებს თვალყურს აღორძინებისა და განვითარების ისტორიულ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს ჩვენს მეზობელ, მეგობარ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. საბჭოთა ადამიანებს ახარებს პოლონელი, ბულგარელი, ჩეხოსლოვაკიელი, უნგრელი, რუმინელი, ალბანელი ხალხების წარმატებანი, რაც მათ ახალი ცხოვრების ძალებლობაში მოიპოვეს. ამ ხალხების წარმატებანი მეტად დიდია.

სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში, რომლებიც ესოდენ სასტიკად დაეზარალა ომმა და გერმანულმა ოკუპაციამ, უკვე უკან დარჩა მრეწველობის ომამდელი დონე. დაუშრეტელია შემოქმედებითი ენერგია მშრომელებისა, რომელნიც თავიანთი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდნენ. ხალხის მასების ინიციატივა ომის ახალ შესაძლებლობას იძლევა, რომ გაიზარდოს და განმტკიცდეს ნამდვილად დემოკრატიული წყობილება, რომელიც თავისუფალია კაპიტალისტური მტაცებლობისა და პარაზიტიზმისაგან, ეკონომიური კრიზისებისა, უმუშევრობისა და სიღატაკისაგან.

სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოები უშუალოდ წარმოშვა საბჭოთა კავშირის ისტორიულმა გამარჯვებამ გერმანიის იმპერიალიზმზე. ამ გამარჯვებამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გაათავისუფლა გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან, ძირი გამოუთხარა იქ წინანდელ ანტიხალხურ რეჟიმებს და დემოკრატიული განვითარების გზა გაუხსნა ამ ქვეყნების მშრომელთ. საბჭოთა კავშირი დაეხმარა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს განემტკიცებინათ თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დაიცვა ისინი იმპერიალიზმის მიერ ხელყოფისაგან, რომელიც ჯერ კიდევ ომის დროს გულში ატარებდა ამ ხალხების დამონების ვერაგულ გეგმებს.

განთავისუფლებულ ქვეყნებში ხალხებმა ხელისუფლების სათავეში ჩააყენეს თავიანთი საუკეთესო შვილები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და საკუთარი ბურჟუაზიიდან გამოსულ გამცემთა წინააღმდეგ. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ სახალხო მოძრაობას. კომუნისტების ხელმძღვანელობით ყველა ამ ქვეყანაში დამყარდა სახალხო დემოკრატიის წყობილება, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს ასრულებს.

ეყრდნობოდნენ რა საბჭოთა ხალხთან მეგობრობას, მის მხარდაჭერას, იყენებდნენ რა საბჭოთა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მდიდარ გამოცდილებას, ახალგაზრდა სახალხო დემოკრატიების მთავრობებმა განახორციელეს მსხვილი და საშუალო მრეწველობის ნაციონალიზაცია და მიწის რეფორმა. ამით მოისპო კაპიტალისტებისა და მემამულეების არსებობის საფუძველი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, ძლევდნენ რა ომისშემდგომი დროის სიძნელეებს, ნგრევასა და რეაქციული ელემენტების საბოტაჟს, დიდი ენერგიით შეუდგნენ მუშაობას სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. თავიანთი ქვეყნების ისტორიული თავისებურების გათვალისწინებით აღმოსავლეთ ევროპის ხალხები დაადგნენ ყველა ნამდვილად თავისუფალი ერისათვის საერთო გზას, დემოკრატიისა და სოციალიზმის გზას.

წარმატებითი წინსვლის, სახალხო დემოკრატიის განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო მუშათა კლასის ერთიანობა, მუშათა კლასში იმპერიალიზმის მემარჯვენე სოციალისტი აგენტების სრული აღმოფხვრა. შეუპოვარი და მტკიცე ბრძოლის შედეგად ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა. მუშათა კლასმა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში შექმნა ერთიანი მუშათა პარტიები. მუშათა კლასში გათიშვის ლიკვიდაციის, ერთიანი მუშათა პარტიების შექმნის ეს ისტორიული პროცესი ხდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების საფუძველზე. მუშათა პროლეტარული მოძრაობის ერთიანობამ, მუშა და გლეხი ახალგაზრდობის რიგების ერთიანობამ — ყოველივე ამან ხელი შეუწყო სახალხო დემოკრატიის საფუძვლების განმტკიცებას. რეაქციის ცდები, რაც მიმართული იყო დემოკრატიზაციის ჩაშლისაკენ, განადგურებულ იქნა; იმპერიალისტების ოინები გამოაშკარავებულ და გაუვნებლებულ იქნა.

იმპერიალისტები, რომლებსაც არა სურთ შექმნილ მდგომარეობას შეურიგდნენ, განაგრძობენ შანტაჟისა და მუქარის პოლიტიკას. ისინი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ რაზმავენ რეაქციისა და საერთაშორისო ბანდიტიზმის მთელ ძალებს. ისინი ამ ქვეყნებს უსვევენ დივერსანტებსა და ვატიკანის აგენტებს. ისინი იყენებენ ეკონომიური ბლოკადისა და ეროვნული დისკრიმინაციის პოლიტიკას. იმპერიალისტური სამყაროს მესვეურები სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ ისევე მოქმედებენ, როგორც 30 წლის წინათ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ. მაგრამ ახლა სხვა დროა. მაშინ საბჭოთა ქვეყანა მარტო იყო სოციალიზმის გზაზე, მაგრამ მას თანაუგრძნობდნენ მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელნი. ახლა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხარეზეა არა მარტო მთელი მსოფლიოს მშრომელთა თანაგრძნობა, არამედ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მთელი ძალიერებაც.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები კმაყოფილებით აჯამებენ თავიანთ გამარჯვებათა შედეგებს. მაშინ, როცა მთელი კაპიტალისტური სამყარო გლოვობს თავის მარცხს „მარშალის“ ჩაფლავებულ ილუზიათა გამო, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ მათ მიერ არჩეული გზა სწორია. იმპერიალისტური ულღლისაგან, მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლებისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში შექმნილია სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და განუწყვეტელი განვითარების ყველა პირობა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა მოსპეს კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლება, დაძლიეს ამ ხელისუფლების მიერ წარმოშობილი სამეურნეო ქაოსი, ნგრევა, სიღატაკე და გადავიდნენ გეგმიან მეურნეობაზე, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის ყველა დარგის ყოველმხრივ და შეთანხმებულ განვითარებას.

მოკლე ვადისათვის — ორი და სამი წლისათვის ნავარაუდევი პირველი სახელმწიფო გეგმები წარმატებით სრულდება ან შესრულებულია. უნგრეთში სამწლიანი გეგმა ორ წელიწადსა და ხუთ თვეში შესრულდა. ჯერი მიდგა ხუთწლიან გეგმაზე. პოლონეთმა სამწლიანი გეგმა შეასრულა და 1950 წლიდან ექვსწლიან გეგმას იწყებს. ჩეხოსლოვაკია ორწლიანი გეგმიდან ხუთწლიანზე გადავიდა. სახალხო-სამეურნეო გეგმები წარმატებით სრულდება ბულგარეთსა და რუმინეთში. ალბანეთისათვის დიდ წარმატებას წარმოადგენს მის მიერ მიღებული ორწლიანი გეგმა. სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში სახალხო მეურნეობის განვითარების 1949 წლის პირველი ნახევრის გეგმები შესრულებულია მთლიანად და გადაჭარბებით. წარმოების ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელი მასების კეთილდღეობა. მუშების რეალური ხელფასი გაიზარდა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში.

მნიშვნელოვანია წარმატებანი სოფლის მეურნეობაში. მიწის რეფორმა, რომლის შედეგადაც მშრომელმა გლეხობამ სახალხო დემოკრატიის გამარჯვების რეალური ნაყოფი იგრძნო, შექმნა სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენის, ღარიბი და საშუალო გლეხების კეთილდღეობის გაუმჯობესების პირობები. წარმატებით ვითარდება კოოპერაციული მოძრაობა. დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი.

მუშათა კლასმა და გლეხობამ ახალი ძალები წარმოშვეს თავიანთი წრიდან. სოციალისტური შეჯიბრება, რაც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საუკეთესო ადამიანებმა. საბჭოთა კავშირის მუშებისა და კოლმეურნეებისაგან ისწავლეს და სწავლობენ, განუხრელად ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დიდი წარმატებებია მიღწეული კულტურული მშენებლობის დარგშიც. სკოლებსა და უნივერსიტეტებს მაჩუდა მუშა და გლეხი ახალგაზრდობა. იქმნება ახალი ინტელიგენცია. რომელიც თავისუფალია კაპიტალიზმის დამახასიათებელი თვისებებისაგან, უძრაობისაგან, ბურჟუაზიული ევროპის წინაშე მონური მორჩილებისაგან.

ასეთია საერთო სურათი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და იგი მოწმობს იმ რწმენას, რითაც ხალხები, რომლებმაც გამოცდილება შეიძინეს, უყურებენ თავიანთ მომავალს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში პირველხარისხოვან როლს ასრულებს ძმური უანგარო დახმარება, რომელსაც მათ უწევს გამარჯვებული სოციალიზმის დიადი ქვეყანა. ეს დახმარება, რომელიც სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პირობას წარმოადგენს, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს შორის სამართადსო მეგობრობის ურღვევი საფუძველია.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ შავბნელი სურათის ფონზე, რომელსაც კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნები წარმოადგენენ. მთელ დასავლეთ ევროპაში ჩაღდება მძიმე ეკონომიური კრიზისი. ამ კრიზისს აძლიერებენ და ამწვავებენ „მარშალის გეგმა“ და ატლანტიკის პაქტი, რომლებიც მიმართულია ამერიკის იმპერიალისტების მიერ დასავლეთ ევროპის ქვეყნების კოლონიზაციისაკენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში დღითიდღე ძლიერდება უმუშევრობა, რომელმაც უკვე სამაში ხასიათი მიიღო, მატულობს მშრომელთა საგადასახადო დაბეგვრა, განუწყვეტლივ მცირდება რეალური ხელფასი. მილიონობით მუშა კვლავ და კვლავ განწირულია შიმშილისა და სიღატაკისათვის.

ამჟამად დიდ გაჭირვებას განიცდიან იუგოსლავიის ხალხები. ტიტოს, კარდელის, ჯილასის, რანკოვიჩის მოღალატურმა ხროვამ, რომელიც სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკიდან უცხოეთის კაპიტალისა და რეაქციის ბანაკში გადაბარგდა, მოსპო იუგოსლავიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილება და დაამყარა ფაშისტური გესტაპოს ტიპის სასტიკი, ტერორისტული ანტიხალხური პოლიციური რეჟიმი.

იუგოსლავიის ეკონომიკა ჩიხშია

ᲙᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲛᲘ

მომზადებული შეხვდნენ მოსავლის აღებას ახმეტის რაიონის კოლმეურნეობები. ამიტომაც მათ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ძირითადად 8-10 სამუშაო დღეში დაამთავრეს.

სოფელ მატნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა წინა წლებში მოსავლის აღებას 20-25 დღეშიც კი ვერ დამთავრებდა, ლეწვას სექტემბრის ბოლომდე აჭიანურებდა. სულ სხვაა წელს. 528 ჰექტარი თავთავიანი კულტურები აქ 10 სამუშაო დღეში მომკეს. აქედან 200 ჰექტარი მთლიანად ხელით ამოიღეს. 500-მდე ჰექტარზე 50-60 ჰექტარს მკიდა. როგორც ეი ნაკვეთებიდან ძნა გამოიტანეს, 100-ზე მეტი კოლმეურნე თავთავის ბერეფას მეუდგა.

მოსავლის აღებასთან ერთად კოლმეურნეობამ ლეწვაც დაიწყო. მაგრამ ეს სამუშაო ნელი ტემპით მიმდინარეობდა. 20 კალო მცირედ მიიჩნია კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. ბაბაურმა და ბრიგადირების საწარმოო დავალება მოიწვია. აქ გადაწყვიტეს და ადგილზე ისე მოაწყეს, რომ კოლმეურნეობა პირადი კუთვნილი ცხენების გამოყენებით დამატებით 20 კალო შეაბეს. ახლა 40 კალოდან ყოველდღიურად 20-25 ტონა პური მიდის საწყობებში.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება დროულად დაიწყო და 9 დღეში გეგმით გათვალისწინებული 19 ტონა პური ჩაბარა, ხოლო ქერის დამზადების დავალება 200 პროცენტით შესრულა. გარდა ამისა, კოლმეურნეობამ მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშში 33 ტონა პური უნდა ჩაბარეს, აქედან უკვე ჩაბარებულია 13 ტონაზე მეტი. აღსანიშნავია, რომ ნატურანაზღაურების დავალებას დღემდე შეასრულებდნენ, მაგრამ ერთი ტრაქტორი, რომელიც პურსა წმენდს, არ ემარა. ეს ნაკლი რომ გამოასწორონ, 100-ზე მეტი კოლმეურნე გადაიყვანეს პურის ხელით წმენდაზე.

ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. პაჩოშვილი) 154 ჰექტარი თავთავიანი კულტურები 7 სამუშაო დღეში აღო და ლეწვა 10 დღეში დაამთავრა. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 13 ცენტნერი ხორბალი, რაც შარშან მიღებულზე 4 ცენტნერით მეტია. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება კოლმეურნეობამ 5 დღეში დაამთავრა.

მოწინავეა ამავე სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაც (თავმჯდომარე ი. ცაძიკიძე).

ზემოალვანელებს არც ქვემოალვანელები ჩამორჩენენ. ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც ს. გრიგოლაიძე ხელმძღვანელობს, 230 ჰექტარი პურეულიდან 200 ჰექტარი ხელით მოძკა. ლეწვაც დაამთავრეს. ჰექტარზე საშუალოდ 13 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. სახელმწიფოს 32 ტონა პური ჩააბარეს.

ახმეტის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. ერთგულაშვილი) შარშანდელთან შედარებით ერთიორად მეტ მოსავალს იღებენ. კოლმეურნეობის 398 ჰექტარი ნათესიდან კომბაინს 250 ჰექტარი უნდა აეღო. ფაქტიურად კომბაინებით აღებულია 303 ჰექტარი.

ამ კოლმეურნეობას აქვს ახლად შეძენილი საკუთარი სალეწი მანქანა. „საქსოფლელექტროს“ თელავის საექსპლოატაციო განყოფილების მმართველმა ამხ. მაღალაშვილმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ერთგულაშვილს ადრევე შიმართა, რომ დახმარებოდნენ მთავარი გადამცემი ხაზიდან კალოებამდე 400 მეტრის მანძილზე ელექტროხაზის გაყვანაში, კიდევაც შეთანხმდნენ, მაგრამ 5-6 ბოძის ჩაყრა დღემდე ვერ მოახერხეს. გასალეწი პურეული ბევრია, სალეწი მანქანა კი ცდება. განა ეს დანაშაული არ არის?

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ერთგულაშვილს დაავიწყდა, რომ ლეწვა კალოებზეც შეიძლებოდა, მთიდან ხარების ჩამოყვანა დაგვიანებით გაახსენდა. არც პურის ჩაბარებას ჩქარობენ (ჩასაბარებელი აქვთ 20 ტონაზე მეტი ხორბალი).

კოლმეურნეობაში ანგარიშწარმოებაც ჩამორჩენილია. კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ა. ჯუგაშვილი, რომელსაც თვეში 55 შრომადღე ეწერება, ძირითადად ჯანმრთელობის განყოფილებაში მუშაობს, იგი კოლმეურნეობაში იშვიათად მოდის.

გასულ წელთან შედარებით რაიონის კოლმეურნეობებში სახელმწიფოსათვის პურეულის ჩაბარების ტემპი მაღალია, მაგრამ ეს როდი კმარა. საჭიროა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაიაღმასკომმა დროულად გაატარონ სათანადო ღონისძიებანი იმისათვის, რომ მარცვლეულის ჩაბარება უახლოეს დღეებში დამთავრდეს.

ს. ᲥᲣᲩᲚᲐᲫᲔ
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). შარშანდელთან შედარებით წელს სოხუმის სკოლებში უფრო ადრე დაიწყო და ორგანიზებულად მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. ყველა სკოლა უკვე უზრუნველყოფილია სათბობით, დამთავრდა სასკოლო ასაკის ბავშვების აღრიცხვა. მოეწყო ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვა, შეკეთებული და შეძენილია 500 მერხი, 250 სკამი, 60 კარადა, 40 დაფა, 50 მაგიდა და სხვ. კაბინეტებისათვის შეძენილია 2 ათასი მანეთის რეაქტივები, ხოლო ლაბორატორიები და კაბინეტები 1 სექტემბრამდე შეივსება 17 ათასი მანეთის ხელსაწყოებით.

ახალი სასწავლო წლისათვის ორგანიზებული მზადყოფნა შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა — მორიგ პლენუმზე და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ — სესიაზე სპეციალურად განიხილეს ეს საკითხი, დასახეს საჭირო ღონისძიებანი და უზრუნველყვეს მათი დროული შესრულება.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სისტემატურად აწყობენ ლექციებს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ლექტორები. მარტო ივლისში წაკითხულ იქნა 77 ლექცია. 130 ლექცია წაიკითხეს ამ პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა თემებზე მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის, ბათუმის ხულოსა და ქედის რაისაბჭოების აღმასკომების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების განყოფილებათა ლექტორებმა და 135 ლექცია სოფლის ინტელიგენტებმა. ლექციები მოისმინა 20 ათასზე მეტმა კაცმა.

ბუნებისმეტყველების- და მოწინავე მიჩურინული ბიოლოგიის საკითხებზე პოპულარული ლექციები წაიკითხა ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში დოცენტმა ვ. ქემხაძემ.

მაღალმთიან საძოვრებზე მომუშავე მეცხოველეებთან დიდი პოპულარობით სარგებლობს ზოოტექნიკოს მ. ტუღუშისა და ვეტექიმ გ. ჩხაიძის ლექციები.

ᲠᲐ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲑᲐᲛᲑᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐᲡ?

საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დაგვისახა გორის ბამბეულის საფეიქრო კომბინატის მშენებლობის დაჩქარება და დროულად დამთავრება. ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში კომბინატის მშენებლებმა შესამჩნევად გაუმჯობესეს მუშაობა.

მთელი რიგი სამშენებლო უბნები, ბრიგადები და ადამიანები შრომის მაღალ მაჩვენებლებს გვაძლევენ. მემონტაჟეთა ბრიგადა, რომელსაც ამხ. ჩიქოვანი ხელმძღვანელობს, სამუშაოთა გეგმებს სიტემატური გადაჭარბებით ასრულებს. მუშები აბრამაშვილი, მაღრაძე, ფარეხელაშვილი, საბაშვილი, ცერაძე და სხვები დღიურ საწარმოო დავალებებს 130-200 პროცენტით ანაღდებენ.

მაგრამ, ეჭვი არაა, მშენებელთა კოლექტივს მეტი წარმატება ექნებოდა, ჩამორჩენის ლიკვიდაციას მალე შეძლებდა, თუ დარაზმულად შეუდგებოდა შეფერხებათა აღმოფხვრას, მშენებელთა წინაშე წამოჭრილ სიძნელეთა გადალახვას.

რა არის ახლა საჭირო გორის კომბინატის მშენებლობის ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, ამის შესახებ იქონია მსჯელობა ამას წინათ მოწვეულმა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მორიგმა პლენუმმა,

მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ პლენუმზე მოხსენებით გამოსულმა კომბინატის სამშენებლო - სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა ს. ლორთქიფანიძემ და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ნ. ჩუბინიშვილმა, ს. ნოზაძემ, ვ. კერესელიძემ, გ. მამუჩარაშვილმა, ლ. დოიჯაშვილმა, ვ. აბაიაძემ, ა. ტატიშვილმა, გ. კეჩხუაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ მშენებლობა უზრუნველყოფილი არ არის როგორც კვალიფიციური, ისე დამხმარე მუშახელით, არსებულ მუშახელსაც სრული დატვირთვით ვერ იყენებენ. მუშების დიდი ნაწილი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს. შრომის ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებელია და ამის გამო ხშირია როგორც მანქანა-დანადგართა, ისე მუშათა გაცდენა, ამავე დროს დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. სრული დატვირთვით ვერ იყენებენ სამშენებლო მექანიზმებს და ავტოტრანსპორტს. 41 ავტომანქანიდან მუშაობს მხოლოდ 27. სუსტია შრომის დისციპლინაც. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სამუშაოდან თვითნებურად წავიდა 22 კაცით მეტი, ვიდრე მიიღეს. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კვალიფიციური მუშების მომზადებას, არ ზრუნავენ წარმოებაში მოსული ახალგაზრდა მუშების აღზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. გორის საქარხნო-საფაბრიკო სკოლიდან მშენებლობაზე მისული 120 კვალიფიციური ახალგაზრდიდან მშენებლობაზე ამჟამად არის მხოლოდ 22 კაცი. ცუდად ხელმძღვანელობენ მშენებელთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებას: ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოვლინებას, მათ წახალისებას და გამოცდილების განზოგადებას. მოუგვარებელია მშენებელთა მომარაგება სასურსათო და ფართო მოხმარების საქონლით.

ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია მშენებელთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოდუნება. არასაკმაო ყურადღება ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, ზოგჯერ მოუმზადებლად იწვევენ პარტიულ კრებებს, პარტიული ჯგუფების მუშაობა მიეწყვეტულია. სუსტია საagიტაციო-მასობრივი მუშაობაც. იშვიათად ეწყობა ლექციები და საუბრები, მშენებელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა დაბალ დონეზეა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ყუჯიაშვილმა.

კომბინატის მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად რაიკომის პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ახლა მთავარია ამ ღონისძიებათა განხორციელება, პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, გარდატეხის მიღწევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

საფეიქრო კომბინატის მშენებელთა კოლექტივს და მის ხელმძღვანელებს საჭიროა მუდამ ახსოვდეთ და განუხრელად შეასრულონ ამხანაგ კ. ჩარკვიანის სიტყვები: „1949 წელი გარდატეხის წელიწადი უნდა გახდეს გორის ბამბეულის საფეიქრო კომბინატის მშენებლობაში“.

Შ. ᲩᲮᲑᲘᲜᲘᲫᲔ
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲫᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მარგანეცის მრეწველობაში ამჟამად ყველაზე მექანიზებულია ლენინის სახელობის მაღარო.

მაღაროს კოლექტივი, მისი ტექნიკური ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისებას. მაღაროს დირექტორი ინჟინერი ა. ფხალაძე და მთავარი ინჟინერი კ. ზამთარაძე ყოველი ახალი მექანიზმის გამოყენება-ათვისების პირველი თაოსნები არიან. მაღაროში მთლიანად მექანიზებულია ისეთი მძიმე და შრომატევადი პროცესები, როგორიცაა მარგანეცის მონგრევა და გამოზიდვა. აქ მუშაობენ ელექტრობურღები, ელმავლები, ჯალამბრები.

მექანიზაციის დარგში აქ ყველაზე „ვიწრო ადგილი“ მაღაროში მადნის დატვირთვაა. მაგრამ ლენინის სახელობის მაღაროს ამ მხრივაც გამოირჩევა. მაღაროში ნაყოფიერად მუშაობენ მტვირთავი მანქანები. პირველ, მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე და მეცხრე უბნებში მარგანეცის მტვირთავი მანქანები საშუალოდ ცვლაში გეგმას 110-120 პროცენტით ასრულებენ.

აქ არიან ადამიანები, რომლებიც დაეუფლნენ ახალ ტექნიკას, შეუფერხებლად და მაღალი წარმადობით ამუშავებენ მექანიზმებს. ესენი არიან ბ. ნამგალაძე, ა. ნეფარიძე, გ. ქვემოთიანი, ვ. მეგრელეშვილი, შ. სირაძე, მ. ტალახაძე და სხვები, რომლებიც მზრუნველობით უვლიან მანქანებს და დიდ წარმატებასაც აღწევენ.

უკანასკნელი ფოსტა

„ᲛᲡᲣᲡᲮᲐᲕᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ამ რუბრიკით „ინდუსტრიული ქუთაისის“ 13 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია ლექსი „გოგიას გასაჭირი“. ალბათ იმისათვის, რომ ერთგვარი სერიოზული ელფერი მიეცა ამ ლექსისათვის, რედაქციას წაუძღვარებია მინაწერი: „კომუნალური მეურნეობის განყოფილებისა და არტელების ხელმძღვანელები არ ზრუნავენ ქალაქში სახოგადოებრივი სამრეცხაოს გახსნისათვის (შემოსული წერილებიდან)“.

ხუმრობის მოყვარულ მუშაკებს „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციიდან, როგორც ლექსიდან ჩანს, დავიწყებიათ რისთვის აიღეს კალამი ხელში და „შეტევაზე“ გადასულან არა კომუნალური განყოფილებისა და არტელების უუნარო ხელმძღვანელების წინააღმდეგ, არამედ... სტუდენტ გოგიას წინააღმდეგ. აი „მარგალიტები“ ამ ლექსიდან:

„ჰო, რა მარჯვე ბიჭია,
ეს სტუდენტი გოგია,
ფრიადებზე სწავლობს და
მცოდნე ბიოლოგია.
ეხერხება ბევრი რამ,
წინათ ოყო ხარატი,
მაგრამ რა ქნას, ვერას გზით
ვერ გარეცხა ხალათი.
არ თეთრდება სარეცხი,
თუნდ დაასხი ლუგელა,
უთო ძლივს გაახურა, —
მთელი ღამე უწერა.
სამ ადგილას გამოწვა
კობტა, თეთრი ხალათი
და არტელებს მიწერა
საპრობეესტო ბარათი...“

ბევრი კომენტარი საჭირო არაა, ამ ლექსით გაზეთმა აბუჩად აიგდო ჩვენი სტუდენტობა. არა გვგონია, ქუთაისელი სტუდენტები ისეთ მდგომარეობაში და ისეთი მოუხერხებელნი იყვნენ, როგორც ამას ეს ლექსი გვიხატავს.

რედაქციის მუშაკებს საკუთარი თავისათვის ეოტა ძალა რომ დაეტანებინათ, მიხვდებოდნენ, რომ ამ ლექსის სტრიქონები „კომუნალური განყოფილების და არტელების ხელმძღვანელებს კი არ „სუსხავენ“, არამედ ჩვენს სტუდენტებს და ისიც სრულიად დაუმსახურებლად.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივმა ივლისის გეგმა ვადამდე 10 დღით ადრე 124 პროცენტით გაანალდა, ამასთან 22 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, 8,5 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და დიდძალი სათბობი და ელექტროენერგია დაზოგა.

ივლისში თავი ისახელეს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა მრავალდაზგოსნებმა ეთერ ფარცვანიამ, პაშა ჯანელიძემ, ნინო ფარცხალაძემ, მარიამ დაჭავამ, ლუბა მიქაბერიძემ და სხვებმა, რომლებმაც 3 წელიწადსა და 7 თვეში 8-10 წლის ნორმები გამოიმუშავეს.

პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად ბრძოლაში კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ბრიგადებმა, რომლებსაც ე. ადამია, ჯ. ქუთათელაძე, მ. მიქაია და ს. ფირცხალავა ხელმძღვანელობენ.

Ვ. ᲙᲝᲞᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲐᲬᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲑᲘ

ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲚᲘ. (საკ. კორ.). ბორჯომის მოქალაქეთა შორის სამუშაო დღეებად ითვლებოდა ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა. ეს ჩვეულებრივ ასეა ყველგან. ბორჯომელ ბიბლიოთეკარებს ეგონა, ეს ასეა ბორჯომშიც. ამ ბიბლიოთეკარებმა ეს ფიქრობდა, ეს ფიქრობდა, ბოლოს ეს ფიქრობენ, ეს ფიქრობენ, ეს ფიქრობენ,

უცხოეთის გამოხმაურება იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე საბჭოთა მთავრობის პასუხის გამო

ალბანეთი

თირანა, 15 აგვისტო. (საკადესი). ალბანეთის ყველა გაზეთი ფართოდ უკეთებს კომენტარს საბჭოთა მთავრობის პასუხს იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე. გაზეთი „ზერი ი პოპულიტი“ მოწონავე სტატიაში აღნიშნავს, რომ ტიტოს ხროვა ატყუებდა არა მარტო თავის ხალხს, არამედ ცდილობდა მოეტყუებინა საბჭოთა მთავრობაც. ალბანელი ხალხი ერთხელ კიდევ რწმუნდება, წერს გაზეთი, თუ სათ არის მიმართული ტიტოს ხროვის პოლიტიკის ანტისაბჭოთა კურსი და კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობამ მთლიანად ამხილა ტიტოს გამცემლური ხროვის უპრინციპობა და სიმდაბლე.

გაზეთი „ბაშკიმიც“ მოწონავე სტატიას უძღვნის საბჭოთა მთავრობის პასუხს იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე.

„ფაქტიურად, — წერს გაზეთი,—იუგოსლავიის მთავრობამ უკვე 1947 წლის აპრილში უარი თქვა თავის მოთხოვნებზე, რომ კარინტია იუგოსლავიას გადასცემოდა, როგორც ეს ცხადად ჩანს კარდელის მიერ ვიშინსკისათვის გაგზავნილი წერილიდან. ტიტოს მტრული და პროვოკაციული მოქმედება, რაც სულ უფრო ცხადი ხდება, იმას მოწმობს, რომ იგი უკვე დიდი ხანია სისტემატურად თანამშრომლობს იმპერიალისტებთან და რომ ეს თანამშრომლობა ახლა ოფიციალურად არის აღიარებული. იმ დროს, როცა, ერთი მხრივ, ტიტოს ხროვა უარს ამბობს ტერიტორიულ მოთხოვნებზე, მეორე მხრივ, იგი მძვინვარებს იმის გამო, რომ „უღალატეს“ მის ინტერესებს“.

„საბჭოთა ნოტა, — ნათქვამია დასასრულ სტატიაში,—საბჭოთა მთავრობის ახალი დოკუმენტია, რომელიც ამხილებს ტიტოს შავბნელ ფანდებს და ცხადყოფს მისი, როგორც მოღალატის, ნამდვილ სახეს“.

პოლონეთი

ვარშავა, 15 აგვისტო. (საკადესი). პოლონეთის ყველა გაზეთი აქვეყნებს იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის პასუხის შესახებ „იზვესტიის“ სტატიის შინაარსს.

გაზეთები სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ყოველი დღე ადასტურებს ტიტოს გამცემლობას.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 15 აგვისტო. (საკადესი). ყოველკვირეული „ფიუგგეტლენ მად�აროსაგი“ აქვეყნებს იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე საბჭოთა მთავრობის სამპასუხო ნოტისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიას.

საბჭოთა პრესამ, წერს გაზეთი, უდავო ფაქტების მოყვანით ნიღაბი ჩამოგლიჯა ტიტოს ტერორისტულ ბანდას, რომელმაც სამარცხვინოდ უღალატა იუგოსლავიელ ხალხს. საბჭოთა მთავრობის ნოტა მთელ მსოფლიოს უჩვენებს, თუ რა საბოზღარ ორპირობას იჩენს მოღალატეთა ბანდა, რომელიც კისერზე აზის იუგოსლავიელ ხალხს და უყოყმანოდ ღალატობს თავისი ხალხის ინტერესებს. საბჭოთა მთავრობის ნოტა მთელი მსოფლიოს წინაშე სამარცხვინო ბოძზე აკრავს ტიტოს ხროვას—იმპერიალისტთა მოიერიში რაზმს. ტიტოს ბანდის მთელი საქციელი, მთელი მისი საქმიანობა ადასტურებს, რომ მოღალატეთა ეს ანტიხალხური ბანდა მშვიდობისა და პროგრესის საერთაშორისო ფრონტის მოსისხლე მტერია, ომისგამჩაღებელ იმპერიალისტთა მორჩილი მსახურია.

იუგოსლავიელი ხალხი, წერს დასასრულ გაზეთი, რომელმაც მრავალჯერ დამტკიცა თავისი უმაგალითო გმირობა გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ურყევი სიმტკიცით ებრძვის ტიტოს და მის ბანდას, რომელმაც სამშობლოს უღალატა.

ბულგარეთი

სოფია, 15 აგვისტო. (საკადესი). გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ დღეს პირველ და მეოთხე გვერდებზე აქვეყნებს ვარშავიდან, პრაღიდან, ბუდაპეშტიდან, ბუქარესტიდან, პარიზიდან, ნიუ-იორკიდან, ლონდონიდან და ჰაგიდან მიღებულ მრავალ დეპეშას, რომლებშიც მოყვანილია ამ ქვეყნების გაზეთების დაწვრილებითი კომენტარები საბჭოთა ნოტის შესახებ.

საფრანგეთი

პარიზი, 14 აგვისტო. (საკადესი). გაზეთ „ლუმანიტე-დიმანშში“ სათაურით „ტიტო საბჭოთა კავშირისა და მშვიდობის საქმის მტერია“ დაბეჭდილია ჟორჟ კონიოს სტატია, რომელშიც ნათქვამია:

„ნოტა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ბელგრადის მთავრობას გაუგზავნა და რომელიც ამხილებს ტიტოს დანაშაულის მთელ სიზიზღრობას იუგოსლავიისათვის სლოვენიის კარინტიის გადაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის საქმეში ავსტრიის ხელშეკრულების საკითხზე მოლაპარაკების დროს, რაც ორ წელზე მეტი ხნის წინათ მოხდა, მეხივით დაატყდა თავს ტიტოს ხროვასა და მის დაქცეულებს.

თავს ესხმიან რა საბჭოთა კავშირს, ტიტო და მისი ხროვა ილაშქრებენ მთელი დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ. ტიტო და მისი ხროვა —მატყუარათა და ცილისმწამებელთა მთელი ეს ბანდა—ასრულებს ოკუპანგრმელ ავანტიურისტთა ბრძანებას. დიდი ხნის განმავლობაში მშვიდობის მეგობართა ყურადღებას იპყრობდა ტიტოს ცდები—პატარა და მამაცი ალბანეთი გადაექცია თავის კოლონიად, მსგავსად იმისა, როგორც ეს მუსოლინიმ 1939 წელს ჩაიდინა. ტიტოს ბანდამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში უმატა ცილისწამებას ალბანეთის წინააღმდეგ, ხოლო პარიზის მარშალიზებული პრესა მას ბანს აძლევს“.

შემდეგ ჟორჟ კონიო წერს: „საკმაოდ ცხადია, რომ მოღალატე ტიტო და ჯალათი ცალდარისი შეთანხმებულად მოქმედებენ. საკმაოდ დადასტურებულია, რომ 5 იულის მონარქისტ-ფაშისტთა ჯარებმა იუგოსლავიის ტერიტორია გამოიყენეს იმ მიზნით, რომ ზურგიდან შემოეკლოთ საბერძნეთის დემოკრატიული არმიის ნაწილებისათვის.

ჩვენი ხალხი, ისევე როგორც მთელი კაცობრიობა, როგორც პროგრესის ყველა მეგობარი, ამ დღეებში კვლავ უცქაფდებს სოლიდარობას ბალკანეთის ყველა იმ მკვიდრს, ვინც იბრძვის დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის, ომის წინააღმდეგ, რომელსაც იმპერიალისტები და მათი აგენტები ამზადებენ.

იუგოსლავიის ხალხები, რომლებსაც საბჭოთა ნოტამ განუმარტა, რომ ტიტო და მისი კომპანია საბჭოთა კავშირის მტრები არიან, თავს არ აარიდებენ იმ დიად ბრძოლას, რომელიც წარმოვიზმ მშვიდობისათვის, იმპერიალიზმისა და მისი აგენტების წინააღმდეგ“.

ინგლისი

ლონდონი, 15 აგვისტო. (საკადესი). ინგლისური ყოველკვირეული „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშნი“ წერს: გავრცელებული ხმებისა და სხვადასხვა ცნობების საფუძველზე არ შეიძლება იმ დასკვნამდე არ მივიდეთ, რომ იუგოსლავიის მთავრობას, როგორც ჩანს, განზრახავა აქვს მტკიცე საკავშირ ურთიერთობა დამყაროს დასავლეთთან. როგორც ჩანს, ეს მთავრობა თანდათანობით სულ უფრო დამოკიდებული გახდება გასაღების დასავლეთის ბაზრებსა და ნედლეულის დასავლეთის წყაროებზე.

„არჩევნების“ წინ დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 13 აგვისტო. (საკადესი). ხვალ საბ დასავლეთ საოკუპაციო ზონაში შედგება დასავლეთ გერმანიის ფედერალური „პარლამენტის“ „არჩევნები“. ამ „არჩევნების“ აზრი ის არის, რომ შეიქმნას განზრახული დასავლეთ გერმანიის სეპარატული სახელმწიფოს ფსევდოდემოკრატიული ინსტიტუტები, რომელთა საფარველით იმოქმედებენ სრულფეხა ანგლო-ამერიკელ ბატონ-პატრონები: დასავლეთ სახელმწიფოთა სამი უმაღლესი კომისარი, ხოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მარტო ერთი — ამერიკის უმაღლესი კომისარი.

დასავლეთ ზონებიდან მიღებული ცნობებით, რომლებიც დაბეჭდილია დღეს ბერლინის პრესაში, მოსახლეობის ძირითადი მასა სრულ გულგრილობას იჩენს მომავალი „არჩევნებისადმი“. გამთიშველი პარტიების—ქრისტიან დემოკრატთა კავშირისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატები იძულებული არიან წინასაარჩევნო სიტყვები წარმოთქვან მიტინგებზე, რომლებსაც 20 და უფრო ნაკლები კაცი ესწრება.

მთელი საარჩევნო კამპანიის დროს ნამდვილი მასობრივი მიტინგები მოაწყო დასავლეთ გერმანიის მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ, მაგალითად, დორტმუნდში, მიუნხენსა და ჰამბურგში, თუმცა ამ პარტიის წინააღმდეგ მიმართავენ ოფიციალური და არაოფიციალური ტერორის ყველა საშუალებას—ფურცლებისა და ბროშურების აკრძალვას და კომპარტიის მიერ მოწყობილი მიტინგების მონაწილეთა მკვლელობასაც კი. ამომრჩეველთა ფართო მასები თანაგრძნობით ეკიდებიან კომპარტიის პროგრამას, რომლის ძირითადი პუნქტებია ეროვნული ერთიანობის მოთხოვნა, საზავო ხელშეკრულების მომზადება და შემდეგ საოკუპაციო ჯარების გაყვანა.

„არჩევნებისადმი“ ამომრჩეველთა ფართო მასების პასიური დამოკიდებულება, როგორც ჩანს, ძლიერ აწუხებს დასავლეთ გერმანიის მემარჯვენე პარტიების ლიდერებს და დასავლეთ მოკუპირებელ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლებიც მათს ზურგს უკან დგანან. გუშინ ამერიკული ზონისა და ბერლინის ამერიკული სექტორის ყველა რადიოსადგურის საშუალებით გავრცელდა ამერიკის ხელისუფალთა ოფიციალური მიმართვა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისადმი, რომ მან „მოიმადოს თავისი საარჩევნო ვალი“. რადიოთი გამოსულმა ამერიკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არჩევნებში სუსტმა მონაწილეობამ შეიძლება ის გამოიწვიოს, რომ ახალი ფედერალური პარლამენტი „არაბუნებრივად მემარჯვენე ან მეტად მემარცხენე“ იქნება.

დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში მიაჩნიათ, რომ ეს მიმართვა წარმოადგენს ამერიკელთა პირდაპირ ჩარევას საარჩევნო ბრძოლაში ქრისტიან-დემოკრატთა კავშირისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხარეზე, რომლებსაც ამერიკელები, როგორც ცნობილია, „შუათანა ძალად“ თვლიან.

ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციის გაზეთი, რომელმაც ამ დღეებში სტატია დაბეჭდა საარჩევნო სისტემის შესახებ, ამჟამად წერდა: „არის იმედი, რომ, ამ სისტემის მეოხებით, მოხერხდება ამის მიღწევა, რომ პოლიტიკური ნების მატარებლები იყვნენ მხოლოდ დიდი პარტიები“. სხვანირად რომ ვთქვათ, ეს იმის ნიშნავს, რომ დასავლეთ მოკუპირებელ სახელმწიფოებს ბონის სეპარატულ „პარლამენტში“ სურთ იხილონ მხოლოდ ქრისტიან დემოკრატთა კავშირისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები.

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ იმოწმებს დეგ-ის ცნობას და წერს, რომ დასავლეთ გერმანიაში საარჩევნო ბრძოლას უკანასკნელ დღეებში ახასიათებს ულტრარეაქციული ელემენტების აშკარა გამოსვლა. „ბავარიის პარტიის“ კანდიდატმა ფიშბახერმა, რომელიც რეგენსბურგში გამოვიდა, განაცხადა: „ჩვენი მიზანია ყველა ბავარიელის გაერთიანება მეფის მეთაურობით“. ეგრეთ წოდებული გერმანიის კონსერვატიული პარტია წინადადებას იძლევა — მოვუწოდოთ რეფერენდუმი „პატიოსანი კონსტიტუციური მონარქიის“ დაწესების შესახებ.

ყოფილმა ჰიტლერელმა გენერალმა რემერმა, რომელიც ოლდენბურგში გამოვიდა როგორც „გერმანიის მემარჯვენე პარტიის“ ორატორი, განაცხადა:

„ჩვენი მუშაობა დაიწყება არჩევნების დამთავრებისთანავე. ორი წლის შემდეგ ჩვენ შეგიძლია ხელი გაიღოთ ძალაუფლებაზე. მან დასძინა, რომ „გერმანიის მემარჯვენე პარტია“ განსაკუთრებით მიმართავს ყოფილ ნაცისტებს, „რომლებიც მას ესაუბროება“. როგორც ცნობილია, „გერმანიის მემარჯვენე პარტია“ მის მიერ ფაშისტური პროპაგანდის გაწევისათვის აკრძალული იყო ამა წლის აპრილში. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციამ გაიუქმა თავისი ბრძანება განკარგულება ამ პარტიის აკრძალვის შესახებ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო ბოტუმიდან იტყობინება, იქ ქალაქში მსუბუქი ავტომობილებით ავრცელებდნენ დიდძალ ფურცელს, რითაც ჰიტლერულ პროპაგანდას ეწეოდნენ.

საომარი მოქმედება საბერძნეთში

საბერძნეთის დემოკრატიული არმიის მთავარი სარდლობის კომუნიკე

გუჟარესტი, 15 აგვისტო. (საკადესი). ელას პრესის საგენტო გადმოგვცემს საბერძნეთის დემოკრატიული არმიის მთავარი სარდლობის კომუნიკეს, რომელიც გადასცა რადიოსადგურმა „თავისუფალმა საბერძნეთმა“.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ 13 აგვისტოს ვიცეს რაიონში დემოკრატიული არმიის ნაწილები გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ თითქმის მთელ ფრონტზე. მძიმე ზარალის მიუხედავად, მეფის ჯარების მე-9 დივიზიამ ალი დინტრი ოიროპიგის უბანზე ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია.

ცენტრალურ ფრონტზე მეფის ჯარების მხრივ მოქმედებდნენ სამთო მსროლელთა მე-3 დივიზია, მე-11 დივიზიის 35-ე, 36-ე და 37-ე ბრიგადები, რომელთაც ეხმარებოდნენ არტილერიისა და ჯავშნიანი ავტომობილების მნიშვნელოვანი ძალები. განსაკუთრებით გაფთრებული ბრძოლები წარმოებდა გარბის მისადგომებზე. უდიდესი ზარალის მიუხედავად, მეფის ჯარები განგრძობენ იერიშებს. მარტო კოტის სექტორში მოკლულ იქნა სამთო მსროლელთა 78-ე ბრიგადის მეთაური, სამთო მსროლელთა ორი ასეულის მეთაური, მეფის ჯარების ბატალიონის მეთაური და ამერიკელი მაიორი ჰელმანი.

13 აგვისტოს ბრძოლებში მოწინააღმდეგის ზარალი შეადგენს: მოკლულთა სახით 611 და დაჭრილთა სახით 1.640 ჯარისკაცსა და ოფიცერს. ჩამოგდებულია 2 თვითმფრინავი მოსპობილია 2 ტანკი და 4 ჯავშნიანი ავტომობილი.

პირსოიანის რაიონში 12 აგვისტოს დემოკრატიული არმიის ნაწილებმა კვლავ დაიკავეს პოზიციები აგიოს პანოტლში, აგიოს ნიკოლაოსში, ტანაგილში და მაღლობი 647. ამ პოზიციების დაპყრობისათვის ბრძოლებში დემოკრატიული არმიის ნაწილებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

14 აგვისტოს დემოკრატიული არმიის ნაწილებმა ვიცის რაიონში განდევნეს მოწინააღმდეგე მის მიერ დაკავებული პოზიციებიდან და სერიოზული ზარალი მიაყენეს მას. განსაკუთრებით გაფთრებული ბრძოლები წარმოებდა მალი-მადის და ბარნას სექტორებში. ამ უბანზე მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყვანა ახალი მაშველი ძალები, რომლებსაც ჯავშანსატანკო ძალები დაეხმარნენ. ვატოხორიის მიმართულებით ბრძოლებში მონაწილეობას იღებს მოწინააღმდეგის 90-ზე მეტი ტანკი და ჯავშანმანქანა.

14 აგვისტოს ბრძოლებში მეფის ჯარებმა დაკარგეს მოკლულთა სახით 483 და დაჭრილთა სახით 1.660 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩამოგდებულია „სპიტფაირის“ ტიპის 2 თვითმფრინავი, მოსპობილია 2 ტანკი და 2 ჯავშნიანი მანქანა.

სირიაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების გამო

ბეირუთი, 15 აგვისტო. (საკადესი). 15 აგვისტოს დილით ბეირუთის რადიოსადგურმა გადმოსცა, რომ სირიის უმაღლესმა სამხედრო საბჭომ სირიის ყოფილ პრეზიდენტს ხაშემ ატასს დაავალა შეადგინოს ახალი მთავრობა. ატასი დათანხმდა. ამჟამად მას კონსულტაცია აქვს გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან და პარლამენტის ყოფილ დეპუტატებთან მომავალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

რადიოსადგურის ცნობით, უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა ხანეუთ დამასკოში პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სირიის საგარეო პოლიტიკა უცვლელი დარჩება. სირიიდან მიღებული ცნობებით, სირიაში სიმშვიდეა.

ტელ-ავივი, 15 აგვისტო. (საკადესი). საღამოს გაზეთები, რომლებიც კომენტარს უკეთებენ სირიაში მომხდარ ახალ სახელმწიფო გადატრიალებას, აღნიშნავენ, რომ სამი ხენაუის გადატრიალება, ისევე როგორც ჰუსნი ეზ-ზაიმის გადატრიალება, უცხოეთის ჩარევის შედეგად და უცხოეთის სახელმწიფოთა ინტერესების შესაბამისად მოხდა.

„ახლა,—წერს გაზეთი „გადორი“,—ჯერ კიდევ ადრეა გავაკეთოთ დასკვნები პოლკოვნიკ სამი ხენაუის მიერ მოხდენილი ახალი გადატრიალების საგარეო პოლიტიკის მიმართულების შესახებ... მაგრამ ერთი რამ ცხადია: „დიდი“ სახელმწიფოები კვლავ უშვებენ ერთმანეთს კონკურენციას ბატონობისათვის. მათ სრულებით არ აწუხებს „მცირეთა“ მოკვეთილი თავები.

გაზეთი „ედიოტ აბრონოტი“ წერს, რომ, „როგორც ფიქრობენ გადატრიალებში აქტიური მონაწილეობა მიიღო ინგლისის წარმომადგენელმა დამასკოში“.

საფრანგეთის პრესა სირიის სახელმწიფო გადატრიალებაში ინგლისის როლის შესახებ

პარიზი, 15 აგვისტო. (საკადესი). გაზეთი „კომბა“ სირიაში მომხდარ გადატრიალებას ხსნის, როგორც „საფრანგეთის პოლიტიკის ჩაფუშვას“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ჰუსნი ეზ-ზაიმი გამინგტონისა და პარიზის აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა. ვაშინგტონისა და პარიზის მმართველი წრეები თავიანთ თავს ულოცავდნენ შუა აღმოსავლეთში საფრანგეთის პოლიტიკის განახლების შესაძლებლობას. ამას წინათ ჰუსნი ეზ-ზაიმმა რამადიესაგან (საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი—რედ.) მიიღო სარჩუკარი—ძველებური იარაღის კოლექცია. ჰუსნი ეზ-ზაიმისადმი პარიზის კეთილგანწყობილება გამოიხატა მატერიალური დახმარებითაც, კერძოდ, დამასკოში რამდენიმე პარტია იარაღისა და ამუნიციის გაგზავნით. თავის მხრივ ვაშინგტონს მიაჩნდა, რომ მას შეეძლო ჰუსნი ეზ-ზაიმის იმედი ჰქონოდა მით უმეტეს, რომ ჰუსნი ეზ-ზაიმმა სირიის არმიის რეორგანიზაციისათვის მიიწვია ამერიკულ წრეებში კარგად ცნობილი თურქი გენერალი.

ეხება რა სირიის მდგომარეობას, გაზეთი „ფრან-ტირერი“ წერს: „გასულ 5 თვეში სირიაში მომხდარი ორი სახელმწიფო გადატრიალება სხვა არაფერია, თუ არა ეპიზოდი ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის მეტოქეობისა სტრატეგიისა და ნავთის დარგში. დამასკოში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებასთან დაკავშირებით იწყება შუა აღმოსავლეთში გავლენისათვის ბრძოლის ახალი პერიოდი“. აღნიშნავს რა, რომ ჰუსნი ეზ-ზაიმმა მიმდინარე წლის 30 მარტს ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, ხოლო 14 აგვისტოს იგი დახვრიტეს ხენაუის მომხრეებმა, გაზეთი წერს, რომ „მსგავსი ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანამონაწილეობას, ზემოქმედებასა და ფინანსებს“.

ლონდონის მცხოვრებლებმა ჩაუშალეს ფაშისტური დემონსტრაცია

ლონდონი, 15 აგვისტო. (საკადესი). რეგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, ინგლისელ ფაშისტთა დემონსტრაცია ლიუისჰემში (სამხრეთი ლონდონი), რაც 13 აგვისტოსათვის იყო დანიშნული, ჩაშალა მოსახლეობის მასობრივი პროტესტების შედეგად.

ფაშისტურ პროცესიას, 60 კაცის შემადგენლობით, იცავდა დაახლოებით 60 პოლიციელი, პოლიციის ავტომანქანა და ცხენოსანი პოლიციის ექვსი ოფიცერი. ამ პროცესიის მსვლელობის მთელ მანძილზე ლონდონელები აღშფოთების შეძახილებით ხვდებოდნენ ფაშისტებს.

ლონდონის მოსახლეობის პროტესტი ამდენად ძლიერი იყო, რომ პოლიცია ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა გაერეკა ფაშისტების დემონსტრაცია.

საქართველოს ლ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 1949-50 სასწავლო წელს პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტების სია

მექანიზაციის ფაკულტეტი

პ. ა. აფრიამაშვილი, ა. ა. ასტვაცატურიანი, ი. ა. ბაზერაშვილი, თ. ვ. ბათიაშვილი, გ. ნ. ბეჟანიშვილი, ნ. ზ. ბიდრიძე, ლ. დ. გორდელაძე, ა. ა. გიგაური, გ. ი. გეგელიძე, რ. ი. გაბუნია, რ. ს. გელაშვილი, ა. გ. გეგეშიძე, ი. ვ. დავითაია, ა. პ. დარჩია, მ. გ. დარჩია, კ. ნ. ივანოვი, ი. ს. კიკაბიძე, ა. შ. კიკნაძე, ზ. ხ. კობზიანიძე, გ. ჯ. ლომინაძე, ჯ. დ. მაჭავარიანი, გ. გ. მესაბლიშვილი, ს. ს. ნაკანი, ა. ნ. ნოზაძე, ვ. ა. ნადარეიშვილი, გ. ა. ნანიტაშვილი, პ. ი. პიტაშვილი, ე. ფ. ჟუჟუნაშვილი, ს. ე. რატიანი, გ. ა. სულაქველიძე, ა. ს. სულთანიშვილი, ნ. დ. სურგულაძე, გ. ვ. ტურაშვილი, გ. ა. ტარუღაშვილი, უ ა. უბერია, ლ. პ. ღუღუნიშვილი, ჯ. ი. ყრუაშვილი, გ. ვ. ყანჩელი, ს. ფ. შანავა, ა. ნ. ჩიტაია, დ. ზ. ჩუფრაშვილი, ლ. ი. ჩხეიძე, ი. ვ. ჩხაიძე, ნ. ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. ი. ძიძიგური, ტ. ლ. წურწუმია, გ. ი. ჭავჭანიძე, ზ. ი. ჯორბენაძე, ვ. დ. ჯიღაური.

აგრო-ეკონომიური ფაკულტეტი

ო. პ. ბაბუნაშვილი, ვ. ზ. ბურკაძე, ე. ი. დოლიძე, შ. ი. დარსაძე, ს. გ. თელია, თ. ი. კუხაშვილი, კ. ა. ყახეთელიძე, ნ. კ. კობიძე, ო. პ. კოპალიანი, რ. ს. კოჩაძე, კ. ა. მიროტაძე, ვ. ა. მეშველიანი, გ. გ. მურმანიძე, რ. პ. მესხია, ე. ი. მაქაცარია, მ. ა. ოდიშვილი, გ. ა. ონიანი, ფ. ს. სალუქვაძე, გ. შ. ფანჩულიძე, ი. ვ. ქორთველშვილი, ვ. ი. შუბლაძე, თ. ზ. ჩალაქე, თ. ვ. ციქუბიძე, გ. თ. ჭიაბერაშვილი, ს. გ. ჭოლარია.

მცენარეთა დაცვის ფაკულტეტი

მ. დ. ასათიანი, ნ. ვ. ახვლედიანი, ე. დ. ბერიაშვილი, თ. ა. ბერბიჭაშვილი, ნ. მ. გოგოლაძე, მ. პ. გუგუშვილი, შ. ნ. გაბუნია, ლ. პ. დოლიძე, ც. ტ. კობალაძე, ნ. ა. კირაკოზოვი, თ. მ. მაჭარაშვილი, თ. გ. მკერვალი, ნ. ტ. ორჯონიკიძე, მ. ნ. ყაჯრიშვილი, შ. ი. შავლაყაძე, ზ. გ. შუბლაძე, მ. დ. შავიანიძე, მ. ნ. ჩოთალიშვილი, გ. ნ. ჩანტლაძე, ტ. ი. ჩიგოგიძე, მ. ვ. ჩქარეული, კ. ვ. ცინცაძე, ვ. ჯ. წიტაშვილი, ლ. ქ. ჭიჭინაძე, ე. შ. ხვიადაშვილი.

მეცხოველეობა-მეფოსტნეოგბისა და მევეტერინარიოგბის ფაკულტეტი

ო. ე. არღუნაშვილი, ო. ზ. აიკაზოვი, ა. ი. ბაზერაშვილი, კ. რ. გირკელიძე, ზ. ვ. გოგოლაძე, ს. ე. ვეშვაძე, გ. კ. დარახველიძე, ე. ს. ვაშაძე, თ. ს. კურტანიძე, მ. ვ. კაკბარაია, ო. ა. კალანაძე, ლ. ი. კვიმსაძე, ლ. გ. ლომთიძე, ლ. ვ. მანაგაძე, ა. ი. ნიქაბაძე, ა. ი. ორჯონიკიძე, ჯ. ი. ონიანი, ო. ე. ონიანი, ვ. ი. ოდიშვილი, ზ. პ. სილაგაძე, პ. ს. შარაშენიძე, ა. გ. ჩიტრეკაშვილი, ვ. ვ. ცქიტიშვილი, ი. გ. ხომასურიძე, ლ. ე. ხარიძე.

პიდრო-მელიორაციული ფაკულტეტი

თ. კ. ბურჯანაძე, ე. ბ. გორდელაძე, ო. ზ. ვიორგაძე, უ. ფ. გელაშვილი, პ. პ. დარბაზოვი, ა. ა. დოლიძე, შ. ა. ერჩიკი, ო. გ. ზამთარაძე, მ. მ. თხილავა, დ. ბ. თავაძე, გ. ნ. კაკიაშვილი, ვ. ვ. კვირიკაძე, ყ. ყ. კახაია, გ. ე. ლომია, შ. ძ. ლომსაძე, გ. ი. მებუკე, ი. გ. მიქიაშვილი, ტ. ს. მესხელი, დ. მ. ნუცუბიძე, ო. ო. ოჩიგავა, მ. კ. პაპელიშვილი, გ. ა. ქეკნიშვილი, თ. ტ. ყიფიანი, ნ. ვ. ჩაჩუა, ა. ს. ხავთასი.

მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი

მ. კ. ბესტავაშვილი, ა. ა. ბეგიჯანოვა, ე. ა. გეველესიანი, ე. ს. გელაშვილი, ე. დ. გეგელიძე, ლ. ი. გრძელიშვილი, ლ. ნ. გველესიანი, ც. მ. ესტატიშვილი, ნ. ს. ერეკვლიძე, ი. გ. ზერაფია, ა. ა. ზაალიშვილი, შ. ვ. იღესაშვილი, გ. ი. იმერლიშვილი, ი. ვ. ლაკლიკაძე, ვ. ა. ლეკვა, მ. ს. ლომინეიშვილი, ი. გ. მიტიჩაშვილი, ე. მ. მაისურაძე, ე. ზ. ურიგაშვილი, ა. ვ. ქიტაშვილი, ტ. ვ. ქუტაძე, ე. ი. ქავეარაძე, ე. ა. ჯაფარიძე.

სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტი

უ. დ. აბულაძე, ე. ჯ. ანდრონიკაშვილი, ც. შ. ასათიანი, მ. ხ. ბეწია, ნ. ი. ბასლაძე, ნ. ს. ბაგრატიშვილი, კ. ს. ბეკეია, გ. ე. ბალანჩივაძე, ლ. ა. გეგია, ჯ. მ. გათენაძე, ზ. პ. გასტენინა, კ. მ. გოგუაძე, ლ. პ. გაბუნია, ლ. მ. ვარამაშვილი, ნ. ვ. ვაშაკიძე, მ. გ. ვარძელაშვილი, ბ. ზ. ზარანდია, შ. ა. კვახაძე, ა. დ. კუტუბიძე, კ. პ. კიტია, ლ. შ. კვანტალიანი, ე. ი. კვარაცხელია, ი. პ. ლაპარტია, ნ. ი. ლომია, ე. ს. ლაბარინა, ნ. ს. მოისწრაფიშვილი, პ. ა. მაჩიძე, გ. ნ. მენაბდე, ი. ო. ოკრიბირიძე, ჯ. ა. პეტანიშვილი, ს. ო. ყოლენტი, ნ. შ. რუხაძე, შ. როყვა, გ. ა. საღრიშვილი, რ. ბ. სარქისოვი, ნ. სეფერთელაძე, ლ. ა. სიხარულიძე, ფ. ურდადი, ტ. პ. ფანცულია, მ. ი. ქინქლაძე, პ. ქინქლაძე, ც. ვ. შათირიშვილი, შ. ქ. ჩუნ, ნ. დ. ჩიქოვანი, შ. თ. ცომაია, კ. მ. ჭიკინაძე, ჯ. ხაინდრავა, ტ. ზ. ხიზანიშვილი, კ. ა. ჯიქია, ნ. ი. ჯალაღანია.

აგრონომიული ფაკულტეტი

გ. ზ. აშაძე, ა. ი. აფციაური, შ. შ. აბულაძე, ა. ი. აბრამიძე, გ. გ. ბიწაძე, ა. ს. გიგაურ, ნ. მ. გოქსაძე, ზ. გ. გვარელიანი, მ. მ. გუგუნელი, გ. ბ. გულბიანი, ბ. დ. გვიდიანი, გ. ა. ... ტაშვილი, ი. ა. ზედგენიძე, გ. ვ. თუჯაშვილი, მ. გ. კობალაძე, მ. პ. კლდიაშვილი, ო. ... რეიძე, ლ. ა. კერვალიშვილი, კ. ა. კახაძე, ... კვიკინაძე, გ. ი. ქამლაძე, ზ. დ. კუპრაძე, ... კანთელაძე, მ. პ. ლორთქიფანიძე, ე. ა. ლაკა... ძე, ს. ა. ლიპარტელიანი, შ. პ. ლიპარტელიანი, ნ. ა. ნადირაშვილი, ბ. პ. პირტახია, ბ. მ. ... ველი, ე. რ. პაპუნიძე, გ. ი. სულაქველიძე, ფ. ტარუღლოვი, ა. ვ. ფალიანი, გ. ბ. ქურასბეგიანი, ი. ი. ქობალავა, შ. ი. ქადარია, ბ. ს. ღვინია, ა. ვ. შველიძე ს. კ. ჩაგელიშვილი, ვ. ა. ... ცვაძე, დ. ვ. ჭიკინაძე, ი. ა. ხითარიშვილი, ... ჯაფარიძე, ბ. გ. ჯალაღლოვი, ე. ი. ჯიშიაშვილი.

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ჯ. ა. აბვლედიანი, ლ. პ. ბლუაშვილი, ... გიორგაძე, ე. გ. გლოველი, რ. ი. გიგინეიშვილი, კ. პ. გულუა, ნ. მ. გოთოშია, ნ. ე. გაბუნია, ა. გამცემლიძე, ნ. მ. გოგიტიძე, ლ. ვ. გიგაურ, ნ. ვ. დალიძე, ი. რ. ოკრიბირიძე, ჯ. ა. ... შვილი, ლ. ვ. ვარაზიშვილი, გ. ვ. ზამბახ... ც. ვ. თოდუა, ლ. ბ. იაკობაშვილი, ნ. ნ. ... ლიანი, ზ. ს. ილაშვილი, ზ. ვ. კიკვაძე, გ. ს. ... პლატაძე, ო. პ. კინწურაშვილი, ფ. ... ძე, ო. ზ. მეგრელიშვილი, ლ. პ. მოსაშვილი, ... ვ. მელიქაძე, ლ. ფ. მხატვარი, ვ. ფ. ნიორ... თ. მ. ნიკოლაიშვილი, ე. გ. ნიორაძე, ნ. მ. ... ხაძე, ა. დ. სვანიძე, შ. ა. სუჯაშვილი ა. ... ხარულიძე, ც. ს. ტაბიძე, თ. ა. ფურცელაძე, ... ს. ქავთარაძე, ა. ი. ქებაძე, ვ. ი. ქურციკაძე, ... ე. შენგელია, ც. ნ. ჩაკვეტაძე, გ. ა. ჩიკვაიძე, ... დ. ჩუტბინიძე, გ. ა. ცხოველიძე, ო. დ. ჭანტარია, ... ე. ბ. ხუხუნაშვილი